



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 2 აგვისტო

**დისციპლინური საქმე №49/21
ყოფილი მოსამართლის --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- 2021 წლის 13 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 18 მაისის №186/49-03 წერილით მოსამართლე --- ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ გააჭიანურა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა და არსებითი განხილვა, რის გამოც აუქციონის წესით გასხვისდა --- ერთადერთი უძრავი ნივთი და აღარ დარჩა ქონება საიდანაც მოხდებოდა --- სასამართლოს 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკისრებული --- აშშ დოლარის გადახდევინება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული, მოახდინა მისი დისკრიმინაცია, არ მიიღო მხედველობაში მისგან მიღებული ინფორმაცია, რომ --- აკრძალვად აღებული საკუთრება გადიოდა აუქციონზე და პროცესის დროულად დაუსრულებლობის შემთხვევაში მიადგებოდა გამოუსწორებელი ზარალი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 10 მაისს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხე --- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. --- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში --- მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასამართლო სხდომები გაიმართა 23.01.2019; 15.03.2019; 29.05.2019; 12.07.2019; 20.09.2019; 22.11.2019; 02.12.2019; 20.12.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით --- ლარის სასარჩელო მოთხოვნა --- დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა; --- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: --- საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გამოთავისუფლდა --- მფლობელობიდან და უძრავი ქონება გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მესაკუთრეს ---; დაეკისრა --- სასარგებლოდ --- ლარის გადახდა; --- დაეკისრა --- სასარგებლოდ 2019 წლის 6 ივლისიდან ბინით სარგებლობისათვის ყოველთვიურად --- აშშ დოლარის გადახდა ბინის გამოთავისუფლებამდე.

2.2. 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში -- --. სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა -- -- სასამართლოს 2019 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება.

2.3. 2020 წლის 31 აგვისტოს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით -- -- წარმომადგენლების შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. 2020 წლის 16 ოქტომბერს კასატორის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება 20 დღით. 2020 წლის 9 ნოემბრის განჩინებით კასატორის წარმომადგენლის შუამდგომლობა საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა სასამართლოში.

2020 წლის 3 ნოემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და ინფორმაციის მიწოდება მოითხოვა, რომ მასა და კასატორს შორის მიმდინარეობს საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილება მიღებული არაა. 2020 წლის 4 ნოემბერს სასამართლოდან გაიცა აღნიშნული ცნობა.

2020 წლის 19 ნოემბერს კასატორის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და წარადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი -- ლარი, ხოლო მეორე ნაწილში მოითხოვა -- აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადავადებულ იქნეს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 30 ნოემბრის განჩინებით შუამდგომლობა -- აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; საკასაციო საჩივარი -- -- სასარგებლოდ 2019 წლის 6 ივლისიდან უძრავი ქონების დაბრუნებამდე ყოველთვიურად -- აშშ დოლარის დაკისრებაზე უარის თქმის მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველად, ხოლო დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

2021 წლის 8 აპრილის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

2021 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განჩინების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- შეგებებული სარჩელი -- ლარის -- -- დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; -- -- სასარგებლოდ დაეკისრა -- აშშ დოლარის გადახდა; -- -- სასარგებლოდ დაეკისრა -- ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

2021 წლის 28 აპრილს სასამართლოდან გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2021 წლის 13 მაისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. 2021 წლის 17 მაისის განჩინებით -- -- განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების წესის შეცვლის და დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა 333 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა 212 სამოქალაქო საქმე (63%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც, „არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.“

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია დადგინდეს ნორმით განსაზღვრული სამი პირობის კუმულატიური არსებობა: ა) საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევა; ბ) დარღვევის არსებითი ხასიათი; გ) აღნიშნული დარღვევისთვის საპატიო მიზეზის არარსებობა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.¹

საქმის განხილვის ვადა თუ იქნება არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდება და დაკარგავს ეფექტიანობას. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.²

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, §50; Bock v. Germany, §35).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულად განხორციელებაში და იმავდროულად პატივი უნდა სცეს მხარეების უფლებებს. მხარეებს უფლება აქვთ მათი სარჩელი გონივრულ ვადაში იყოს განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ. მოსამართლის უპირველესი

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577

ვალდებულებაა სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტები არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

ამდენად, საქმის განხილვის ვადის დარღვევის გადაცდომის არსებობის დასადგენად პირველ რიგში უნდა გაირკვეს აღნიშნული საქმის მიმართ რა საპროცესო ვადას ითვალისწინებდა კანონმდებლობა და მოხდა თუ არა ამ ვადის გადაცილება. მოცემულ საქმეზე მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადაა 6 თვე, ხოლო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე - 2 თვე. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 3 თვის ვადაში, ხოლო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე - 1 თვის ვადაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 391-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, იგი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად 2020 წლის 30 ნოემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული. არსებული საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2021 წლის 8 აპრილის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო 23 აპრილის გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. დადგინდა, რომ მოსამართლემ საკასაციო საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი 6 თვიანი ვადის დაცვით განიხილა საქმე. შესაბამისად, არ დარღვეულა მოსამართლის მიერ საქმის განხილვის საპროცესო ვადა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე -- -- 2021 წლის -- -- გათავისუფლდა თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2021 წლის 13 მაისის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის - - - - მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი